პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---აგვისტო 2018 წელი

ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირსა და ალექსი გოგოლაურის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ბუენოს-აირესის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირსა და ალექსი გოგოლაურის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს ბუენოს-აირესის სახელი.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=481996 Y=4620264
X=482000 Y=4620254
X=481931 Y=4620235
ბუეწოს-აირესის სკვერი
X=481947 Y=4620205
1:800

03/017

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია

წერილის ნომერი: 04-01171304480

გაცემის თარიღი: 10.05.2017

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. თბილისი 0114, თავისუფლების 2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს,
ქალბატონ **ლია ჯახველაძეს**

ქალბატონო ლია,

გიგზავნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ წერილს, რომელშიც საუბარია ქალაქ თბილისის რომელიმე ქუჩის ან სკვერისათვის არგენტინის რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ.

გთხოვთ, თქვენს კომისიაში განიხილოთ აღნიშნული წერილი კომპეტენციის ფარგლებში და გვაცნობოთ მიღებული პოზიცია.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის უფროსი

ირაკლი ხუცურაული

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
№ 04/5717
"11" მაის 2017 წ.
ფურცელთა რაოდენობა 2 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

საქართველო

12651-01-2-201704061613

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/12651
06/04/2017

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დავით ნარმანიას

ბატონო დავით,

გაცნობებთ, რომ მ.წ. 21 მარტს, არგენტინის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ გამართა შეხვედრა ბუენოს-აირესის საკრებულოს (Legislatura) თავმჯდომარესთან, დეპუტატ კარმენ პოლედოსთან, სადაც მხარეებმა განიხილეს საქართველო-არგენტინას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით ქ. ბუენოს-აირესის რომელიმე მოედნისთვის ან სკვერისთვის „საქართველოს“ სახელის მინიჭების საკითხი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, არგენტინის მხარემ ქართულ მხარეს შესთავაზა ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე, ქ. თბილისში ერთ-ერთ ქუჩას ან სკვერს ეწოდოს არგენტინის რესპუბლიკის სახელი.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არგენტინის რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა (1918-1921 წწ.), მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განხილულ იქნას არგენტინის მხარის წინადადება. აღნიშნულს ექნება როგორც სიმბოლური დატვირთვა ორ ქვეყნას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების კუთხით, ასევე გარკვეულწილად არგენტინელ ხალხში საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას არგენტინული მხარის შემდგომი ინფორმირების მიზნით.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031812493**
თარიღი: **04/05/2018**

ადრესატი: საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის
პირველ მოადგილეს დავით ზალკალიანს

ბატონო დავით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მომართვის (2017 წლის 11 მაისის 04/5717 წერილი) საფუძველზე ნაცვალგების პრინციპის გათავლისწინებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ერთ-ერთი მოედნისთვის ბუენოს-აირესის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრის და რამდენიმე სატელეფონო კონსულტაციის შემდეგ ვფიქრობთ, რომ კომისიურ რეჟიმში განვიხილოთ, თქვენი წარმომადგენლების მიერ შერჩეული, წერეთლის გამზირზე მდებარე მოედნისთვის ბუენოს-აირესის სახელის მინიჭების ინიციატივა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საკითხის კომისიურ რეჟიმში განხილვას გეგმავს 26 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების შემდეგ.

ნაცვალგების პრინციპის გათავლისწინებით მოგმართავთ თხოვნით გვაცნობოთ, თუ რა ეტაპზეა მოლაპარაკებების პროცესი ბუენოს-აირესის საკრებულოსთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

თინათინ
ნიბლოშვილი

თ. ნიბლოშვილი

საქართველო

19136-01-2-201805071800

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/19136
07/05/2018

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ **თინათინ ნიბლოშვილს**

ქალბატონო თინათინ,

თქვენი მ/წლის 4 მაისის №03-031812493 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ მ/წლის 27 აპრილს, არგენტინის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ბ-ნმა ირაკლი ყურაშვილმა შეხვედრა გამართა ბუენოს აირესის ავტონომიური მთავრობის საგარეო ურთიერთობათა და თანამშრომლობის გენერალურ დირექტორთან, ფრანსისკო მუგაბურუსთან.

შეხვედრაზე არგენტინის მხარეს ეცნობა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება, თბილისში მდებარე ერთ-ერთი მოედნისთვის (კერძოდ, წერეთლის გამზირზე, დინამოს სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მოედანი) ბუენოს-აირესის სახელის მინიჭების შესაძლებლობის შესახებ.

საქართველოს ელჩმა სთხოვა ბუენოს აირესის ავტონომიური მთავრობის წარმომადგენელს, ნაცვალგების პრინციპის გათვალისწინებით, არგენტინის მხარემ დაიწყოს შესაბამისი პროცედურების გატარება და შეარჩიოს ბუენოს აირესში მდებარე კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტი, რომელსაც მიენიჭება თბილისის სახელი. თავის მხრივ, არგენტინის მხარემ აღნიშნა, რომ მათთვის არ არის უცხო ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებთან თანამშრომლობა (მაგალითად, ბუენოს-აირესში გაიხსა სერბეთის რესპუბლიკის სახელობის სკვერი, ხოლო ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ბელორუსიის საელჩოსთან). აღნიშნა, რომ შესაბამისი საკანონმდებლო პროცედურების გატარების შემდეგ, მოხდება კონკრეტული მოედნის მოძიება, რომელსაც მიენიჭება თბილისის სახელი.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ნაცვალგების პრინციპის გათვალისწინებით, თბილისსა და ბუენოს აირესში კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის მინიჭების საკითხი განხილულ იქნა არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გუსტავო სლაუვინენის თბილისში ვიზიტის ფარგლებში (2017 წლის 29-30 აპრილი). მას შემდეგ, მიმდინარეობს მუშაობა ბუენოს აირესისა და თბილისის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან, კონკრეტული გეოგრაფიული ობიექტის შერჩევისა და შესაბამისი პროცედურების გატარების მიზნით.

დამატებით ინფორმაციას წინამდებარე წერილში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოგაწვდით მიღებისთანავე.

პატივისცემით,
გვარამ ხანდამიშვილი

დეპარტამენტის დირექტორი - მ.შ.
ამერიკის დეპარტამენტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **პ/2167278**
თარიღი: **28/06/2018**
ხელმოწერილია ელექტრონულად
პინი: **####**

ადრესატი: საგარეო საქმეთა სამინისტრო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ამერიკის დეპარტამენტის დირექტორს
გიორგი ხაბელაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მომართვის (2017 წლის 11 მაისის 04/5717 წერილი) საფუძველზე ნაცვალგების პრინციპის გათავლისწინებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის ბუენოს-აირესის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრის, რამდენიმე სატელეფონო კონსულტაციის, მათ შორის საკრებულოს თავმჯდომარისა და საქართველოში არგენტინის ელჩის შეხვედრის შემდეგ ვფიქრობთ, რომ კომისიურ რეჟიმში განვიხილოთ, წერეთლის გამზირისა და ალექსი გოგოლაურის ქუჩის კვეთაზე მდებარე სკვერისთვის ბუენოსაირესის სახელის მინიჭების ინიციატივა.

ხსენებულ საკითხზე საქმისწარმოების პროცესი თბილისის საკრებულოში დასრულდება სამი თვის ვადაში

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031817986**
თარიღი: **28/06/2018**

ადრესატი: საგარეო საქმეთა სამინისტრო

ამერიკის დეპარტამენტის დირექტორს
გიორგი ხაბელაშვილს

ბატონო გიორგი,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მომართვის (2017 წლის 11 მაისის 04/5717 წერილი) საფუძველზე ნაცვალგების პრინციპის გათავლისწინებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის ბუენოს-აირესის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრის, რამდენიმე სატელეფონო კონსულტაციის, მათ შორის საკრებულოს თავმჯდომარისა და საქართველოში არგენტინის ელჩის შეხვედრის შემდეგ ვფიქრობთ, რომ კომისიურ რეჟიმში განვიხილოთ, წერეთლის გამზირისა და ალექსი გოგოლაურის ქუჩის კვეთაზე მდებარე სკვერისთვის ბუენოსაირესის სახელის მინიჭების ინიციატივა.

ხსენებულ საკითხზე საქმისწარმოების პროცესი თბილისის საკრებულოში დასრულდება სამი თვის ვადაში

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე — თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031819390**
თარიღი: **12/07/2018**
ხელმოწერილია ელექტრონულად
პინი: **2061**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ქალბატონ რუსუდან მირზიკაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დიდუბის რაიონში, წერეთლის გამზირსა და ალექსი გოგოლაურის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ბუენოს-აირესის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა. გიგზავნით ჩვენს მიერ რუკაზე არაპროფესიონალურად მოხაზული სკვერის სიტუაციურ ნახაზს (იხილეთ დანართი).
გთხოვთ, შეისწავლოთ განცხადებაში მითითებული გარემოებები და გამოგვიგზავნოთ ბუენოს-აირესის სკვერის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-0118197571**
თარიღი: **16/07/2018**
ხელმოწერილია ელექტრონულად
პინი: **0429**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 13.07.2018 წლის #03-031819390 (13.07.2018წ. #14-01181932232-67)განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

რუსუდან მირზიკაშვილი

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)